



დასკვნა:დ02.37203601

თარიღი:25/12/2020

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის აგარარულო საკითხთა ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსთა საკითხების კომისიების ერთობლივი დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადის კორექტირებულ პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის და აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიებმა ერთობლივად განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადის კორექტირებული პროექტი. აღნიშნული დოკუმენტის განხილვის შედეგად მომზადდა წინამდებარე დასკვნა, რომელიც საბოლოო სახით ჩამოყალიბდება ქვემოთ მოცემული სახით:

1. კომისიების სხდომაზე აღინიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ნაწილობრივ გაითვალისწინა კომისიების შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც აისახა ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში. აღნიშნული შეეხო:
 - მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტაციის პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანას. განსახილველად წარმოდგენილ პროექტში საფუძვლიანად გადამუშავებულია პრიორიტეტების დოკუმენტის მეორე თავის 2.1 ქვეთავი - „შემოსავლებისა და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები“
 - მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტში მოცემული პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების ინდიკატორების მაჩვენებლის მხოლოდ ნაწილობრივ დაზუსტებას.
 - საბიუჯეტო განაცხადის მთავარი ფინანსური დოკუმენტის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტში ბიუჯეტის აღწერილობითი ნაწილის 2020 წლის ბიუჯეტთან შედარებით მნიშვნელოვანწილად დახვეწას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2021 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტებში არ არის გათვალისწინებული კომისიების შენიშვნების, წინადადებების და რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი. შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი არ არის დაზღვეული არსებითი ხასიათის ხარვეზებისგან, რომლებიც ქმნიან ბიუჯეტის სუსტი მხარეების გარკვეულ ერთობლიობას. მათ შორის მნიშვნელოვანია:

1. პრიორიტეტის- „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ დაფინანსება 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 7257,9 ათასი ლარით. დასაგეგმი 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი კი აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსებას ითვალისწინებს 5588,9 ლარით, ანუ 1669,6 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ბიუჯეტი მიმდინარე წლის 01

იანვრისთვის დამტკიცებული ბიუჯეტთან შედარებით იგეგმება 250,4 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით. ბიუჯეტით განსაზღვრული ზემოთ აღნიშნული შემცირების კვალობაზე პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“- დაფინანსების შემცირება 1669,6 ათასი ლარით, არის არალოგიკური. მუნიციპალიტეტის მერიამ არ გაითვალისწინა კომისიების წინადადება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ.

2. ქვეპროგრამა კომისიების ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა ქვეპროგრამა „გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებას“ აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს ქვეპროგრამების „გზების მოვლა-შენახვა (ასფალტბეტონის და ბეტონის მოწყობა) სავარაუდო მოცულობა 7000კუბ/მ 200,0 ათასი ლარის ღირებულებისა და (შიდა გზების მოვლა-შენახვა, გასწორხაზოვნება) - 100,0 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებას. მიუხედავად კომისიების შენიშვნისა, არც ერთ ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებაზე არ არის მინიშნებული რომელ ლოკაციაზეა განსაზღვრული სამუშაოების შესრულება. საერთოდ უგულებელყოფილია ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა.
3. ქვეპროგრამის ღონისძიება - „მუნიციპალური ტრანსპორტი“ ითვალისწინებს 90,0 ათასი ლარის ღირებულების მომსახურების გაწევას. აღნიშნულ ღონისძიებაზე დასაგეგმ წელს დაფინანსების ზრდა განსაზღვრულია 2020 წლის ბიუჯეტთან შედარებით 4,0 ათასი ლარით. კომისიების შენიშვნა ითვალისწინებდა დაფინანსების ზემოთ აღნიშნული მოცულობით ზრდის რაციონალურობის დასაბუთებას. საქმე იმაშია, რომ მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს შორის. აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის სრულყოფისკენ არის ორიენტირებული მგზავრთა გადაყვანის შესახებ საკრებულოს მიერ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენებული წესი. როდესაც 4,0 ათასი ლარით ღონისძიება „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დაფინანსების ზრდის დასაბუთებაზე იყო ორიენტირებული კომისიების შენიშვნა, აუცილებელი იყო მეტი სიცხადის შეტანა აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.
4. ქვეპროგრამა- „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ დაფინანსება განსაზღვრულია 2798,3 ათასი ლარით, მათ შორის 1548,3 ათასი ლარით გზების, სასმელი წყლისა და შიდა ქსელის მოწესრიგების, საბავშვო ბაღის ღონისძიებების დაფინანსების თითქმის 73% მოდის რეგ. ფონდებზე. სასურველი იყო, განმარტებით ბარათში მაინც ახსნილიყო აღნიშნული თანხით დაფინანსების მიღების რეალურობა.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული საბოლოო შედეგით წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით ასე თუ ისე დგინდება. რაც შეეხება საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორებს, განსაკუთრებით ხარისხობრივად არ არის მოცემული კომისიების შენიშვნა აქაც არ იქნა გათვალისწინებული.
5. „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა, მიუხედავად კომისიების შენიშვნებისა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის ასახული.
6. ღონისძიება - „კეთილმოწყობის ღონისძიება“ აღწერილობით ნაწილში არ არის ასახული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები. ამასთან ერთად, ღონისძიება „ტროტუარების კეთილმოწყობა“ რომელიც ფინანსდება 39 000 ლარით, ბიუჯეტში პროექტში არ ფიქსირდება მისი განხორციელების ადგილი.
7. ქვეპროგრამა 02 06-ის ღონისძიება „ბინათმშენებლობა“ დაფინანსება 2021 წლის პროექტით განსაზღვრულია დაფინანსდეს 200,0 ათასი ლარით. ღონისძიების მიზანია მრავალსართულიანი სახლების კეთილმოწყობა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი

სამუშაოები არც ერთი კონკრეტული ლოკაცია ბიუჯეტის პროექტში არ ფიქსირდება.

8. ქვეპროგრამა „დასუფთავება და გარემოს დაცვა“ - კომისიების მიერ დაფიქსირებული შენიშვნებიდან არცერთი არ არის გათვალისწინებული. ეს მაშინ, როცა აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსების ზრდა განსაზღვრულია 500,0 ათასი ლარით. ნაცვლად იმისა, რომ გაძლიერებულ იყო ქვეპროგრამის განხორციელების საბოლოო შედეგების და მათი შეფასების ინდიკატორების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ასახვა, ბიუჯეტის პროექტში, მოხდა პირიქით, ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომელიც მოცემული იყო 2020 წლის ბიუჯეტში ამოღებულია. შესაბამისად, კომისიების გადაწყვეტილებაც არ იქნება ადეკვატური.

9. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში არ იქნა გათვალისწინებული კომისიების მიერ რეკომენდირებული ისეთი პროექტები, როგორცაა:

- ცენტრალური გზიდან სოფლის მიმართულების არსებული გზის რეაბილიტაციის პროექტი;
- სოფ. ბოხგაურში 700 გრ/მ გზის რეაბილიტაცია;
- სოფ. ცხემლისხიდის უჩხუბის უბნის გზის რეაბილიტაციის პროექტი;

კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა: მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი ძირითადად საბიუჯეტო პარამეტრების (მათ შორის მეთოდოლოგიურიც) მინედავით აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, ზემოთ აღნიშნულ შენიშვნებზე დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხების მიღების გარეშე არ იქნება მხარდაჭერილი.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

